სწავლა-აღზრდის საკითხები ალექსანდრე ყიფშიძის შემოქმედებაში

მაკა დოლიძე

ფილოლოგიის დოქტორი(ჟურნალისტიკა)

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მე-19 საუკუნის ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ყიფშიძე, რომელიც ქართული პრესის ისტორიაში ფრონელის ფსევდონიმით არის ცნობილი, გორის ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში სწავლისას მონაწილეობდა მოწაფეთა ხელნაწერ ჟურნალ „ნორჩი ტვინის“ გამოცემაში. სემინარიის სწავლის პერიოდში ალექსანდრე ყიფშიძემ დაწერა ლექსი „ფიქრი“ და „ღმერთი“ და ა. გოდორიას ფსევდონიმით მოაწერა ხელი. „გოდორია“ ალექსანდრეს უფროსი ძმის გრიგოლის ფსევდონიმი იყო. შესაძლებელია მან ეს ფსევდონიმი ძმისადმი პატივისცემის ნიშნად აიღო და ეს გასაკვირი არც არის. იგი ყოველთვის ამაყობდა თავისი ძმით, ცდილობდა მისი აზრები გაეზიარებინა.

1879-1882 წლებში სემინარიაში სწავლისას ალექსანდრე ყიფშიძემ დაწერა „დღიურები ერთი სემინარიელისა“, სადაც ასახულია სემინარიაში არსებული მოვლენები. ალექსანდრე ყიფშიძეს არ მოსწონდა სემინარიაში არსებული რეჟიმი. გამეფებული იყო რუსიფიკატორული პოლიტიკა, პედაგოგთა უმრავლესობა რუსი მონარქისტები იყვნენ, ქართულ ენასა და ლიტერატურას კვირაში მხოლოდ ერთი გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი. სემინარიაში აკრძალული იყო ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. ვინც წაიკითხავდა, მათ სასტიკად სჯიდნენ. მაგრამ, მიხედავად ამისა ალ.ყიფშიძე სისტემატურად კითხულობდა ქართულ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს.

1889 წლიდან ალ.ყიფშიძე გახდა „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი. გაზეთის ფურცლებზე იგი ხშირად საუბრობდა სწავლა-აღზრდის აუცილებლობაზე.

აღნიშნავდა, ერი სულითა და გულით დაეცემა, თუ კი ქვეყანაში სწავლა-განათლება სათანადო სიმაღლეზე არ იქნება. გაუნათლებლობა მას ერის დამღუპველ ძალად მიაჩნდა. ალ.ყიფშიძე მოგვითხრობდა თუ რა მდგომარეობა იყო თბილისის გუბერნიაში, რამდენი სასწავლებელი იყო, რამდენი მოსწავლე სწავლობდა და მათ შორის რამდენი იყო ქართველი და რამდენი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, რამდენი იხარჯებოდა სწავლა- აღზრდაზე და ა.შ.

საკვანძო სიტყვები პუბლიცისტი, სემინარია, პრესა, სწავლა-აღზრდა, რუსიფიკატორული პოლიტიკა

Issues of learning and education in the works of Aleksandre Kipshidze

Maka Dolidze PhD

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

The famous publicist and public figure of the 19th century, Aleksandre Kipshidze, who is known in the history of the Georgian press under the pseudonym Froneli, after graduating from the four-class theological school of Gori, studied at the Tbilisi theological seminary. While studying at the seminary, he participated in the publication of the handwritten magazine of the disciples, "Infant brain";. During his studies at the seminary, Aleksandre Kipshidze wrote the poem "Thought" and "God". He signed under the pseudonym of Godoria. "Godoria" was the pseudonym of Aleksander's older brother Gregory. It is possible that he took this pseudonym as a sign of respect for his brother, and this is not surprising. He was always proud of his brother, tried to share his thoughts.

While studying at the seminary in 1879-1882, Aleksandre Kipshidze wrote ";Diaries of a Seminarian", which describes the events in the seminary. Aleksandre Kipshidze did not like the regime in the seminary. The Russification policy reigned, the majority of teachers were Russian monarchists, Georgian language and literature were given only one lesson a week. It was forbidden to read Georgian books and magazines in the seminary. Those who read it were severely punished. But, despite this, Al.Kipshidze systematically read Georgian books and magazines.

Since 1889, Aleksandre Kipshidze became a permanent employee of "Iveria". On the pages of the newspaper, he often spoke about the necessity of education. He pointed out that, the nation will

fall in spirit and heart if education in the country is not at the proper level. He considered illiteracy to be the destructive force of the nation.

Aleksandre Kipshidze told us what the situation was in Tbilisi Governorate, how many schools there were, how many students were studying, and among them how many were Georgians and how many representatives of different nationalities, how much was spent on education and upbringing, etc.

Keywords publicist seminary Russification policy Press education

მე-19 საუკუნის ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ყიფშიძე, რომელიც ქართული პრესის ისტორიაში ფრონელის ფსევდონიმით არის ცნობილი, გორის ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში სწავლისას მონაწილეობდა მოწაფეთა ხელნაწერ ჟურნალ „ნორჩი ტვინის“ გამოცემაში. „ამ ორი თვის წინეთ მე და ჩემმა ამხანაგმა მოვინდომეთ ჩვენს კლასში ჟურნალის დაარსება. ჟურნალი შესდგებოდა ორი ნაწილისგან: რუსული და ქართული. ჩვენის აზრით ეს გამოცემა ათასნაირ სარგებლობას მოგვიტანდა...მაგრამ დაგვიშალეს ეს კეთილი და სასარგებლო საქმე მაგ ვაჟბატონებმა.“[1]

სემინარიის სწავლის პერიოდში ალექსანდრე ყიფშიძემ დაწერა ლექსი „ფიქრი“ და „ღმერთი“ და ა. გოდორიას ფსევდონიმით მოაწერა ხელი. „გოდორია“ ალექსანდრეს უფროსი ძმის გრიგოლის ფსევდონიმი იყო. ალექსანდრე თავისი ძმისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „ამით ვათავებ ჩემო საყვარელო ძმავ უ.გოდორია, ერთი კვირის აღწერას სემინარიის ცხოვრებიდან!“[1] შესაძლებელია მან ეს ფსევდონიმი ძმისადმი პატივისცემის ნიშნად აიღო. და ეს გასაკვირი არც არის. იგი ყოველთვის ამაყობდა თავისი ძმით, ცდილობდა მისი აზრები გაეზიარებინა „როცა მე გამოუცხადე, რომ მე იმ გოდორიას ძმა ვარ მეთქი, რომელიც ერთხელ უშინსკიმ აბარგა თქვენის სემინარიიდან, საწყალი სიხარულით კინაღამ გაგიჟდა. შენ იმის ძმა ხარო, იმისიო! ჰო, იმის ძმა ვარ მეთქი.

ლექსში „ფიქრი“ ალექსანდრე ყიფშიძე ოცნებობდა საქართველოს თავისუფლებაზე, სამშობლო ენის აყვავებაზე. „უკაცრავად, მე თუმცა ამას ლექსი დავარქვი, მაგრამ ეს ლექსი კი არ არის, უფრო პროზაა. არა, ერთი, მე ლექსს საიდან დავწერ მამა არ ყოფილა მელექსე და პაპა. პოეტური ნიჭი მე არა მაქვს“ - წერდა ალექსანდრე ყიფშიძე[1].

1879-1882 წლებში სემინარიაში სწავლისას ალექსანდრე ყიფშიძემ დაწერა „დღიურები ერთი სემინარიელისა“, სადაც ასახულია სემინარიაში არსებული და სემინარიიდან დანახული მოვლენები. „რა დავწერო ამ ჩემს დღიურში არ ვიცი ღმერთმანი. ჩვენს სემენარიის ცხოვრებაში კაცი ბევრ შესანიშნავს ვერასა ნახამს.“[1] - წერდა იგი და მიუხედავად ამისა, აცხადებდა, „ ჩემი დღიური ჩემი სულის სარკეაო.“[2].

ალექსანდრე ყიფშიძეს არ მოსწონდა სემინარიაში არსებული რეჟიმი. გამეფებული იყო რუსიფიკატორული პოლიტიკა, პედაგოგთა უმრავლესობა რუსი მონარქისტები იყვნენ, ქართულ ენასა და ლიტერატურას კვირაში მხოლოდ ერთი გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი. ქართულის მასწავლებელი იყო ნიკოლოზ ტატიშვილი, რომელმაც ქართული კარგად არ იცოდა. „მაგისთანა უხეირო მასწავლებელი ძნელათღა თუ მოიპოება. შუბლი და თვალები წმინდა იდიოტური აქვს. თავში ნამცეცი ტვინი არა აქვს. არც ქართული ლაპარაკი იცის, არც რუსული. როცა ის ქართულად დაიწყებს ლაპარაკს, ტვინში ჟრიანტელი დამივლის ხოლმე, და სახეზე მწარე დაცინვა გამომესახება ხოლმე.“ - წერდა ალექსანდრე ყიფშიძე[1].

სემინარიაში აკრძალული იყო ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. ვინც წაიკითხავდა, მათ სასტიკად სჯიდნენ. მაგრამ, მიხედავად ამისა ალ.ყიფშიძე სისტემატურად კითხულობდა ქართულ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს. „გუშინ წინ ბალკონზე გადაყუდული ქართულ წიგნს „ჯერ დაიხოცნენდა მერე დაქორწინდნენ“ ვკითხულოდი“[1]. მიმოიხილავდა ქართველი პუბლიცისტების ნაწარმოებებს. იგი ეხმაურებოდა გიორგი წერეთლის სტატიას, რომელიც 1879 წლის მარტში დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“.

სტატიაში საუბარი იყო სემინარიის მდგომარეობაზე, რექტორსა და ინსპექტორზე. „ისინი უცქერიან ჩვენ ახალგაზრდობას, როგორც ველურ ხალხს

... დიდი ბედი დაეცემა სემინარიას ეგ ორი პარაზიტი რომ მოაშოროს. იმედია, ისეთი მხეცი არ მოვა სემინარიის ისპეხტორ-რექტორი, რომლებიც დაუშლიან შეგირდებს გარედან შემოტანილ წიგნების კითხვას...“[1] - წერდა გიორგი წერეთელი.

ალ.ყიფშიძემ არ იცოდა, სემინარიის დამთავრების შემდეგ რა ბედი ეწეოდა მას, რა შედეგი ან მომავალი მოელოდა სემინარიელებს. „ღვდლებათ უნდა წავიდეთ. მაგრამ რა არის ღვდლები ჩვენში? ის, რომელსაც არ შეუძლიან არავითარი სარგებლობა მოუტანოს ხალხს, მას არ შეუძლიან ხალხის შვილებს შკოლებში ასწავლონ, არ შეუძლიან მალ-მალ ეკლესიებში ქადაგებები სთქვას, იმიტომ რომ იმ ცენზორის კალმის ქვეშ, ე.ი. ექზარხის ხელში უნდა გაიარო თავის ქადაგებაში ერთს იმისთანა აზრს ვერს იტყვის, რაც საღმრთო წერილს არ ეკუთვნის თქვენც დამეთანხმებით, რომ ამისთანა ქადაგების თქმას სჯობიან სულ არაფერი სთქვა.“[1]

ალ.ყიფშიძეს არ სურდა მღვდლის ანაფორის ჩაცმა და 1884 წელს ჩააბარა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1888 წელს. 1889 წლიდან გახდა „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი. გაზეთის ფურცლებზე იგი ხშირად საუბრობდა სწავლა-აღზრდის აუცილებლობაზე. აღნიშნავდა, ერი სულითა და გულით დაეცემა, თუ კი ქვეყანაში სწავლა-განათლება სათანადო სიმაღლეზე არ იქნება. გაუნათლებლობა მას ერის დამღუპველ ძალად მიაჩნდა. „ერი უსწავლელი, გონება დაბნეული და დახშული, - წერდა ალ.ყიფშიძე,- სრულებით არ გამოდგება მკაცრ და დაუნდობელ ცხოვრების ბრძოლა-ჭიდილში, იმ ბრძოლა ჭიდილში, რომელმაც არ იცის სუსტის შეწყალება და ხელის დაფარება. [3]

ალ.ყიფშიძე მოგვითხრობდა თუ რა მდგომარეობა იყო თბილისის გუბერნიაში, რამდენი სასწავლებელი იყო, რამდენი მოსწავლე სწავლობდა და მათ შორის რამდენი იყო ქართველი და რამდენი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, რამდენი იხარჯებოდა სწავლა- აღზრდაზე და ა.შ.

ავტორი ფაქტებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ საწავლებლებში მოსწავლეთა უმრავლესობა სომხები იყვნენ, მეორე ადგილზე - ქართველები, ხოლო მესამეზე - რუსები. „ყველაზე ბევრი მოსწავლე ჰყავთ სომხებს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სომეხთ რიცხვი გუბერნიაში რვაჯერ ნაკლებია

ქართველებზე, მაშინ სრულიად ცხადი იქნება, თუ რამდენად ჩამოვრჩენილვართ სომხებს სწავლა-განათლებაში,“წერდა იგი [4].

ალ. ყიფშიძეს ეს ამბავი ტრაგედიად მიაჩნდა და აცხადებდა, რომ ქართველებმა ჯერ კიდევ არ იციან განათლების ფასი. განათლებამ უნდა შეაყვაროს მოზარდს თავისი ერი, არ უნდა დააყენოს იგი უბედურების გზაზე და სიკეთე უნდა მოუტანოს თავის ხალხს. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ახარებდათ ის მდგომარეობა, რომ გიმნაზიას მცირე რაოდენობის ქართველი ამთავრებდა და განათლების მხრივ ქართველთა რიცხვი არც თუ ისე მრავალრიცხოვანი იყო. ერთ-ერთ ინფორმაციულ შენიშვნაში ვკითხულობთ: „სწორედ მალე აღსრულდა ერთის ბატონის სურვილი ხსენებულ გიმნაზიაში ქართველ მოსწავლეთა რიცხვის დამცირების შესახებაო“[3]

ალ.ყიფშიძე აღაშფოთა ამ ინფორმაციამ და გაკვირვებული კითხულობდა, „ნუთუ ახლანდელ დროში, როცა სწავლა-განათლების ძალა ყველამ შეიგნო, არის ისეთი ადამიანი, რომელსაც უხარია, რომ ქართველთა რიცხვი სასწავლებელში მცირეა?“ და აქვე პასუხობდა „ჩვენ არ გვგონია, თუ დედამიწის ზურგზედ მოიძებნება ამისთანა სულის მტერი, არც დავიჯერებ...“[5].

ალ.ფრონელი ილაშქრებდა არა მთავრობის, არამედ ცალკეული პიროვნებების წინააღმდეგ, რომლებიც უპირისპირდებოდნენ მთავრობას და ცდილობდნენ ხელი შეშალათ მათ კეთილსა და გონიერ განზრახვაში. ავტორს ჩამოთვლილი ჰქონდა რამდენიმე მაზრა, სადაც სკოლები ან არ იყო, ან ცოტა რაოდენობის იყო. „ნუთუ დრო არ არის მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ სამწუხარო გარემოებას ჩვენმა განათლებულმა, მოწინავე საზოგადოებამ, რომელსაც კი ბედი არგუნებს ხოლმე სოფელში ცხოვრებას? ნუთუ დრო არ არის, წავბაძოთ დასავლეთის მოძმეთა? რომ დროა ვგონებთ, ამის გამოცნობა არა არის საჭირო“[6].

ალ. ყიფშიძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ქართ-კახეთში სკოლების მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო იყო. „დიდის გაჭირვებით და წვალებით დაწყებული საქმე ათის წლის წინად ეხლა თითქოს შეფერხდა, ერთ დონეზე დადგა და წინ მსვლელობის ნიშანს ვეღარ იჩენს“ [5].

უკეთესი მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში. მომრავლდა სასოფლო საერო და სამრევლო სკოლები. თითქმის არც ერთი სოფელი სკოლის გარეშე არ იყო დარჩენილი.

ალ. ყიფშიძე საუბრობდა რა სკოლების სიმრავლეზე ლიხის მთის იქით, ასეთ შედარებას აკეთებდა: „ყურისთვის რომ სახამუშო არ იყოს, პირველ დასაწყისის სკოლების გამრავლება გურია-იმერეთში შეიძლება კაცმა დაადაროს კალიის შემოსევას , იმ განსხვავებით კი, რასაკვირველია, რომ კალიას დაღუპვა მოსდევს ქვეყნისა და სკოლების გამრავლებას კი - ერის გამოცოცხლება და მისი სიკეთე“ [6].

ავტორს აინტერესებდა რა დონეზე იყო ამ სკოლებში სწავლა-განათლება, ცხოვრებასთან შეუფერებელი იყო თუ არა. და აქვე დასძენდა, თუ ცხოვრებასთან შეუფერებელი იყო, ხალხს გული აუცრუვდებოდა სწავლა-განათლებაზე და ამისათვის საჭირო იყო დიდი გამჭრიახობა, გარჯა და მეცადინეობა. მას მოჰყავდა იაკობ გოგებაშვილისა და რუსი მწერლის ნ.მ. იანდრიცევის მოსაზრებები განათლების შესახებ. „ ... აწინდელი წესი სწავლა-განათლებისა ბევრ სასურველს ცვლილებას მოითხოვს და, რაც უფრო მალე დადგება იგი დრო ცვლილებისა ჩვენის ერის საკეთილდრეოდ საბედნიეროდ, მით უკეთესია“ [7].

1892 წლის 9 ოქტომბერს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ალ. ყიფშიძის წერილი, რომლითაც იგი გამოეხმაურა ქართველ მაჰმადიანთა წერილს. ისინი მოითხოვდნენ ქედაში ქართული სკოლის დაარსებას.

ალ.ყიფშიძე აღტაცებით შეხვდა ქართველ მაჰმადიანთა თხოვნას და ქართველ საზოგადოებას მოუწოდა დახმარებოდა მათ. „არა გვგონია, - წერდა იგი, - რომ ქართველობამ ყური არ უგდოს და არ შეისმინოს ეს ვედრება, მერე როცა ისეთი მცირე დახმარებაა საჭირო, რომ სალაპარაკოდაც არა ჰღირს“[8].

ალ.ფრონელმა იცოდა, რომ ქართული სკოლის გახსნით დიდ სამსახურს გაუწევდა არა მარტო ქართველ მაჰმადიანებს, არამედ სრულიად საქართველოს. რადანაც ქართველ მაჰმადიანებს, მხოლოდ რჯული აქვთ სხვა, თორემ ისინი ქართველები არიან, მათი ქვეყანა საქართველოა და სამშობლო ენა ქართული. ამიტომ საჭირო იყო, ახალგაზრდა თაობას არა მარტო ელაპარაკა ქართულ ენაზე, არამედ განათლებაც მშობლიურ ენაზე მიეღო. „... ყოველი ქართველი, რომელსაც კი სამშობლოს სიყვარული სიტყვების რახარუხად არ მიაჩნია და ნამდვილად არის მოწადინებული, შეძლებისდაგვარად, სასარგებლო შვილი

იყოს სამშობლოსი, დიდს ყურადღებას მიაქცევს და ეცდება სურვილი განუხორციელოს აჭარის ქართველ მაჰმადიანებს“[8].

ალექსანდრე ყიფშიძეს აუცილებელ პირობად მიაჩნდა, რომ საქართველოში სწავლა ეროვნულ ენაზე ყოფილიყო, ყველა მოზარდს სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზე მიეღო და სწორედ ამიტომაც იყო, რომ იგი ცდილობდა საქართველოს ყველა კუთხეში გახსნილიყო ქართული სკოლა და თითოეულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის სწავლება მაღალ დონეზე ყოფილიყო. იგი ხელმძღვანელობდა მესხეთ-ჯავახეთში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ გახსნილ ერთადერთ ქართულ სკოლას. დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა ამ სკოლის გახსნას და არავითარ ძალ-ღონეს არ იშურებდა მესხეთ-ჯავახეთში ქართული ენის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ალექსანდრე ფრონელი თანამშრომლობდა სხვადასხვა გამოცემებთან „ცნობის ფურცელი“, „მეგობარი“, „საქართველო“, „მოამბე“, „ერი“. იყო ჟურნალ „კლდისა“ და გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედკოლეგიის წევრი. იკვლევდა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებს, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ქართველი ხალხის ანტიკოლონიალურ და ანტიფეოდალური ბრძოლის ისტორიას.

ჯერ კიდევ სემინარიის სწავლის პერიოდში იგი წერდა „მე ვარ პატრიოტი. რა გვარიც უნდა იყოს ჩემი მოქმედება მომავალში საქართველოს კეთილდღეობისთვის იქნებიან ისინი. ბრუდეთ წავალ თუ სწორე გზაზე, მართალს ვიტყვი თუ ტყუილს, კალამს ავიღებ თუ ჩინოვნიკი გავხვდები, სახეში მექნება ჩემი დაცემული სამშობლო“ [1].

ლიტერატურა

1. ყიფშიძე ალ. (ფრონელი) „დღიური ერთი სემენარიელისა“ გვ.149-150 http://www.iccn.ge/files/1-80_pp_part_i_proneli_book_2013.pdf ბოლო ნახვა 1.X. 2022წ.

2. ნათაძე გ.,ალ.ყიფშიძის(ფრონელის) „დღიურეისათვის“ http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/7077/1/Proneli%20Dgiurebisatvis%201942.pdf ბოლო ნახვა 1.X.2022
3. გაზ.„ივერია“№127, 1890 წლის 17 ივნისი
4. გაზ.„ივერია“№79, 1890 წლის 17 აპრილი
5. გაზ. „ივერია“№132, 1890 წლის 23 ივნისი
6. გაზ. „ივერია“№156, 1890 წლის 22 ივლისი
7. გაზ. „ივერია“№122, 1891 წლის 13 ივნისი
8. გაზ. „ივერია“№213, 1892 წლის 9 ოქტომბერი